

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს
წლის № დადგენილებით
აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
ასოც. პროფესორი მერაბ ხალვაში

განხილულია ტექნოლოგიური ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე ოქმი № წელი
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი:
პროფესორი გაიოზ ფარცხალაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მ ე ფ უ ტ კ რ ე

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი,
ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ#12, 6010 ;
ტელ: +995(422) 27-17-80
ფაქსი: +995(422) 27-17-87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: რომან მარგალიტაძე
საქართველო, ბათუმი,
ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ#12, 6010 ;
მობ: 599537062
ელ. ფოსტა: roman_margalitadze@yahoo.com

ბათუმი
2017 წელი

- I. **სახელწოდება:** მეფუტკრე
- II. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული პროგრამა „მეფუტკრე“:** 08101-3
- III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- IV. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - მეფუტკრის პროფესიული სტანდარტი
- V. **დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება
- VI. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საფუტკრე მეურნეობებში ან შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოში, ასევე შეუძლია საკუთარი ბიზნესის წამოწყება და თვითდასაქმება.
- VII. **მიზანი:**
პროგრამის მიზანია უზრუნველყოს პროფესიონალ მეფუტკრეთა მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ დარგში მზარდ მოთხოვნებს. მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. ასევე არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტებს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღმავონ პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინონ დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიგნით სტუდენტთა მობილობას, ისე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.
- VIII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- საფუტკრე მეურნეობის მოწყობა
 - მეფუტკრეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა
 - ფუტკრის მოვლა-პატრონობა
 - მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება
 - ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა
 - საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური და პირადი პროფესიული განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა
- IX. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**
საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.
- შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ასევე ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს - 8 კრედიტს.

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 76 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 91 კრედიტი;

სავარაუდო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 12 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 14 სასწავლო თვე“;

XI. სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა-მეფუტკრე	2	მეფუტკრეობის პროდუქტების საწარმოო გადამუშავება	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-მეფუტკრე	8	სკებისა და ჩარჩოების აწყობა-შეკეთება	3
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი-მეფუტკრე	5	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
მეწარმეობა 1	2	საფუტკრე მეურნეობის ორგანიზება	7		
უცხოური ენა	4	ფუტკრის მოვლა-პატრონობა	9		
სამოქალაქო განათლება	2	მეფუტკრეობის პროდუქტები, მათი მიღება, პირველადი დამუშავება და შენახვა	8		
		საფუტკრე მეურნეობაში ვეტერინარულ-სანიტარული და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა	7		
		შრომისა და უსაფრთხოების დაცვა მეფუტკრის პროფესიასთან მიმართებაში	3		
		საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარება	3		
სულ:	16	სულ:	52	სულ:	8

XII. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 8 კრედიტი.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამღვევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XIII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

XV. ქართული ენა A-2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

XVI. დანართები:

1	დანართი 1	სასწავლო გეგმა
2	დანართი 1ა	სასწავლო გეგმა
3	დანართი 2	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
4	დანართი 3	რაოდენობრივი წიგნიერება
5	დანართი 4	ინფორმაციული წიგნიერება 1
6	დანართი 5	ინტერპერსონალური კომუნიკაცია
7	დანართი 6	უცხოური ენა (ინგლისური ენა)
8	დანართი 7	მეწარმეობა1
9	დანართი 8	სამოქალაქო განათლება
10	დანართი 9	ქართული ენა A-2
11	დანართი 10	გაცნობითი პრაქტიკა-მეფუტკრე
12	დანართი 11	საფუტკრე მეურნეობაში ვექტ-სანიტარული და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა
13	დანართი 12	საფუტკრე მეურნეობის ორგანიზება
14	დანართი 13	საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარება
15	დანართი 14	მეფუტკრეობის პროდუქტები, მათი მიღება, პირველადი დამუშავება და შენახვა
16	დანართი 15	ფუტკრის მოვლა-პატრონობა
17	დანართი 16	შრომისა და უსაფრთხოების დაცვა მეფუტკრის პროფესიასთან მიმართებაში
18	დანართი 17	საწარმოო პრაქტიკა-მეფუტკრე
19	დანართი 18	პრაქტიკული პროექტი-მეფუტკრე
20	დანართი 19	მეფუტკრეობის პროდუქტების საწარმოო გადამუშავება
21	დანართი 20	სკებისა და ჩარჩოების აწყობა-შეკეთება
22	დანართი 21	პირველადი გადაუდებელი დახმარება